

# ანტი-მოდერნული დისკურსი და ქართული მართლმადიდებლური ეკლესია

თინათინ დოლიძე

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ემზარ ჯგერენაია, პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თინათინ დოლიძე

27.06.2016

## აბსტრაქტი

საქართველოში ქვეყნის პოლიტიკური არჩევანი დიდი გამოწვევის წინაშე იმყოფება - გამოვიდეს „პოსტსაბჭოური“ ვითარებიდან და იქცეს მოდერნულ სახელმწიფოდ. მოცემული ნაშრომის მიზანია გააღრმავოს არსებული ცოდნა საქართველოში სეკულარიზაციისა და სახელმწიფოში მართლმადიდებლური ეკლესიის როლის შესახებ და იკვლიოს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დისკურსი დასავლურ, მოდერნულ დისკურსთან მიმართებაში. ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დისკურსის და ამ დისკურსის განვითარების საფუძვლების ანალიზი.

ნაშრომის თეორიულ საფუძვლებს წარმოადგენს სეკულარიზაციისა და თანამედროვე მსოფლიოში კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიების, და ასევე ანტი-მოდერნულ დისკურსთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევების ანალიზი. მოცემული კვლევა განიხილავს სეკულარიზაციის ჩამოყალიბების პროცესს, მისი განვითარების ეტაპებს, რეფორმაციისა და განმანათლებლობის პერიოდს. ამას თან სდევს, ქართველი მეცნიერების ნაშრომები, რომლებიც განიხილავენ სეკულარიზაციას, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ფორმას და მდგომარეობას საქართველოში.

მოცემული კვლევისას ყურადღება გამახვილდა იმ მახასიათებლებზე, რომლებიც მეტ-ნაკლებად აღწერენ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დისკურსის მიმართებას დასავლეთის/მოდერნულობის მიმართ. ეს მახასიათებლებია, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვრის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ქადაგებებისას, ეპისტოლეებისას და წარმოთქმული სიტყვებისას გამახვილებული ყურადღება

დასავლურ ღირებულებებზე, თანამედროვე მეცნიერებასა და ტექნოლოგიებზე და საქართველოს პოლიტიკურ არჩევანზე.

ნაშრომის ემპირიული ნაწილი ეყრდნობა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ქადაგებებს, ეპისტოლეებსა და მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს 2003 წლიდან დღემდე, ასევე ქართველი მეცნიერების/ექსპერტების ინტერვიუებს.

მოცემულ კვლევაში იკვეთება, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია უარყოფითად არის განწყობილი სეკულარიზმის იდეისკენ, უარყოფით კონტექსტში განიხლავს დასავლურ ღირებულებებს და გლობალიზაციას, ცდილობს თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მარგინალიზებას. ამასთან ჩემი აზრით ნათლად იკვეთება ეკლესიის მიერ რეფორმაციისა და განმანათლებლობის ეტაპის გაუვლელობაც.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** „სეკულარიზაცია“, „დასავლური დისკურსი“, „ეკლესიის დისკურსი“, „რეფორმაცია“, „განმანათლებლობა“, „დასავლური ღირებულებები“

## **Abstract**

Georgia's political choice is facing a daunting challenge – to get out of the post-Soviet state of affairs to turn into a modern state. The goal of the thesis is to deepen the existing knowledge of secularization and the role of the Orthodox Church in Georgia and study the discourse of the Georgian Orthodox Church in relation to the western, modern discourse. The task of the thesis is to analyze the Georgian orthodox discourse and the principles of the development of such discourse.

The theoretical grounds of the thesis are provided by the analysis of the studies into the causes of secularization and conflicts in the contemporary world as well as into an anti-modern discourse. The study reviews the secularization development process, its development stages, the reformation and enlightenment period. This is accompanied with the works of Georgian scholars dealing with secularization, the form of the Georgian Orthodox Church.

The study focused on the highlights reflecting the relation of the discourse of the Georgian Orthodox Church to the western/modern discourse. These highlights appear in the homilies, epistles and statements of the head of the Georgian Orthodox Church – the Catholicos-Patriarch of Georgia Ilia II as they focus on Western values, modern science and technology, and Georgia's political choice.

The empirical part of the thesis is based on the homilies, epistles and statements that the Catholicos-Patriarch of Georgia Ilia II has issued since 2003 as well as the interviews with Georgian scientists/experts.

The study shows that the Georgian Orthodox Church is negatively disposed to the idea of secularization, disapproving of Western values and globalization, and trying to marginalize modern science and technology. Besides, I believe it is apparent that Church has not passed the stage of reformation and enlightenment, either.

**Key words:** 'Secularization', 'modern discourse', 'reformation', 'enlightment', 'western values'